

## ანოტაცია

მოცემულ ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ნიადაგების დეგრადაციის უარყოფითი ასპექტები, მისი გავლენა სოფლის მეურნეობის პერსპექტივაზე. საქართველოში ეკოლოგიური და კლიმატურის ზონების დიდი ნაირსახეობაა, თუმცა მრავალფეროვნებას თან ახლავს სირთულეებიც, რაც გულისხმობს ჰაერის ტემპერატურის მკვეთრს ცვალებადობას, აქტიურ ეროზიულ ცვლილებებს და ზოგიერთ რეგიონში უხვ ნალექიანობას, ასევე გაუდაბნობასა და ნიადაგის დეგრადაციის სხვადასხვა ტიპებს.: ტექნოგენური დეგრადაცია, ეროზია, მეწყერი, ღვარცოფის წარმოშობა, დამლაშება, გაბიცობება, აგროგამოფიტვა, გაეწრება, საკვები ელემენტების შემცველობის დაქვეითება. ნიადაგის დეგრადაცია კი თავის მხრივ იწვევს ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორცაა სიღარიბე. შესაბამისად აღნიშნული პრობლემა ქვეყნის დღის წესრიგში ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს.

საქართველოში უკანასკნელი 20-35 წლის მანძილზე ინტენსიურ მეურნეობებში და ბუნებრივ საძოვრებზე მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური სიტუაცია. ქიმიური სასუქების, პესტიციდების ინტენსიურმა გამოყენებამ, ნიადაგების ხშირმა და არასწორად დამუშავებამ, საძოვრებზე არამდგრადმა ძოვებამ, წყლისმიერმა და ქარისმიერმა ეროზიებმა და სხვა, განაპირობა ნიადაგის ფიზიკური და ბიოლოგიური დეგრადაცია, გარემოს ქიმიური დაბინძურება.

ნიადაგზე ზემოქმედების შედეგად ირღვევა მისი სტრუქტურა, დაქვეითდა ჰუმუსის და საკვები ნივთიერებათა შემცველობა, გაუარესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები-წყალგამტარობა, ტენტევადობა, აერაცია და სხვა. დადგენილია, რომ ასეთ ნიადაგებზე მოსავლიანობა დაქვეითებულია საშუალოდ 55-65 %-ით, ანუ მისი ეკონომიკური სარგებლიანობა არის შემცირებული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, დასახელებული ეკოლოგიური პრობლემების შედეგად.

მიწის დეგრადაციის პრობლემა ყველაზე მწვავედ დგას კახეთში, ქვემო და შიდა ქართლში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქარსაცავი ზოლების თითქმის მთლიანად განადგურების, გვალვების სიხშირის გაზრდის და ნალექების დეფიციტის პირობებში მომატებული ტემპერატურის ფონზე გაძლიერდა ქარისმიერი ეროზია. ასევე იზრდება ნიადაგის დამლაშების პრობლემები. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ნიადაგის დამლაშების და ძოვებით გამოწვეულ პრობლემებზე.

ფაქტია, რომ სახნავ-სათესი მიწების დიდი ნაწილი იკარგება. ამას ადასტურებს შემცირებული მოსავალი. გადამოვების შედეგად ბალახი განადგურდა და საძოვრების გაქრობის რეალური საფრთხე არსებობს. ეს უარყოფითად იმოქმედებს მეცხოველეობის განვითარებაზე.

დამუშავებული ლიტერატურის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნიადაგების მდგრადი მართვა ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია, რომელსაც სჭირდება მეტი ყურადღება სახელმწიფოს მხრიდან.

